GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"

წერილის რეგისტრაციის № 111

თარიღი: 16 03 2015 წ.

FACTCHECK

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში თბილისსა და ბათუმში ტექნოლოგიური უნიერსიტეტის გახსნა იგეგმებოდა. კონკურისის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო კომისიის მიერ ორი განაცხადი გამოვლინდა, რომლებმაც კონკურსის მეორე ეტაპის მოთხოვნები დააკმაყოფილა. ესენი იყო: ა) კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისურის უნივერსიტეტი, კალიფორნიის უნივერსიტეტის ლოს–ანჯელესის კამპუსი და საქართველოს აგრარული და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტები; ბ) ობურნის უნივერსიტეტი.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- რატომ მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნული კონკურსის შედეგების გაუქმების გადაწყვეტილება?
- რატომ გამოცხადდა ახალი კონკურსი?
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულახალ კონკურსში მონაწილეობის საშუალება კერძო უნივერსიტეტებს არ მიეცათ. რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება?
- რატომ დაიწუნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსების იდეა?ჩატარდა თუ არა რაიმე ტიპის კვლევა, ან არსებობდა თუ არა შესაბამისი საერთაშორისო რეკომენდაციები (ასეთების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია)?
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განმარტა, რომ ეს იდეა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაწუნებულ იქნა და ამის შესახებ 2011 წლის ნოემბერში კომპაქტის მოსამზადებელი მოლაპარაკებების პერიოდში ოფიციალურად ეცნობა საქართველოს მთავრობას. გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.
- თუკი 2011 წელს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ აღნიშნული იდეა დაწუნებულ იქნა, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ 2012 წლის ბოლოსათვის მოლაპარაკებები და კონკურსის პირველი ეტაპი უკვე დასრულებული იყო და მეორე ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული უნივერსიტეტების გამოვლენა იყო დარჩენილი?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნული კონკურსის გაუქმების შემდეგ ხელახ
კონკურსი გამოაცხადა და ათასწლეულის განვითარების კორპორაციასთან ერთად ახალი პრო